

მეცნიერება



251/01-03
29.09.2015

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA



MES 4 15 00966350

24/09/2015

სსიპ - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე (წერილი #891138 14.09.2015) გაცნობებთ, რომ ევროპის საბჭო, წევრ ქვეყნებთან თანამშრომლობის ფორმატში, მუშაობს „დემოკრატიული კულტურისა და ინტერკულტურული დიალოგის კომპეტენციების მოდელის“ შემუშავებაზე. აღნიშნული მოდელის სამუშაო ვერსიის განხილვაში ინტენსიურად იყო ჩართული მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. ამ ეტაპზე მომზადებულია ინტერკულტურული დიალოგისა და დემოკრატიული კომპეტენციების კითხვარი, რომელიც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ითარგმნა ქართულად და განთავსებულია ევროპის საბჭოს ვებგვერდზე. მოცემული კითხვარი განკუთვნილია მასწავლებლებისათვის. ევროპის საბჭო თავის წევრ ქვეყნებში ატარებს კვლევას დემოკრატიული კომპეტენციების შეფასების მიზნით და აღნიშნული კვლევის ძირითად საყრდენს სწორედ მოცემული კითხვარი წარმოადგენს.

აღნიშნულ კვლევაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლებთან ერთად სასურველია ჩაერთონ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლები.

აქვე გაცნობებთ, რომ შესაბამისი კითხვარი განთავსებულია მოცემულ მისამართზე - <http://competence.intercultural.ro/> ქართულ ენაზე, ორ ნაწილად. უშუალოდ შეკითხვებს წინ უძღვის კითხვარის შევსების ინსტრუქცია. აღსანიშნავია, რომ თავად კითხვარის შევსება მოითხოვს, მაქსიმუმ, 30-45 წუთს და ონლაინ გამოკითხვაში მონაწილეობის მიღება შესაძლებელია **2015 წლის სექტემბრის ბოლომდე**.

შესაბამისად, გთხოვთ, უზრუნველყოთ აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება თქვენი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალისათვის, რათა მოხდეს კითხვარის შევსება საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლების მიერ.

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების
დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, სტუდენტთა
სოციალური ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი
გობრონიძე ვალერიან

